ხელშეკრულება №1/01

ქ.თბილისი 14.ანვარი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ქალაქ თბილისის #209 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. ია აბუამვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და, მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლისმე-3[1] პუნქტის „ს" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1 რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი – საფოსტო გზავნილი (შეკვეთილი წერილობითი კორესპონდენცია), რომელთა მიღებაზე გამგზავნს ეძლევა შესაბამისი დოკუმენტი, რეგისტრირდება საფოსტო განყოფილებაში და მიმღებს ბარდება ხელმოწერით.

1.2 ამანათი - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის მიგთავსის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის ნორმატიულ აქტებს. ამანათის წონა და ზომები განისაზღვრება მსოფლიო საფოსტო კავშირის წესებით;

1.3 საკურიერო მომსახურება - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მისამართიდან საფოსტო გზავნილის მიღება კურიერის მეშვეობით.

1.4 საფოსტო მარშუტი - საფოსტო ობიექტებს შორის საფოსტო ტრანსპორტის მოძრაობის გზა.

1.5 მიმღები - შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით გზავნილის მიმღებად განსაზღვრული ორგანიზაცია-დაწესებულება, ან ფიზიკური პირი.

1.6 გზავნილი შეტყობინებით – წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც მიმწოდებელი აწვდის შემსყიდველს დადგენილ ვადებში გზავნილის ჩაბარების თარიღის და მიმღების ვინაობის შესახებ.

სასწრაფო გზავნილი – წარმოადგენს გზავნილისსახეს, რომელიც ადრესატს ჩაბარდება მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისაგარდა შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულისა: ტყიბული, აშბრილაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი , ქედა , მუახევი, ხულო, ჩოხატაური, მესტია და თერჯოლა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებისსაგანიაშემსყიდველისმოთხოვნისშესაბამისადმიმწოდებლის მიერშემსყიდველისათვის ქვეყნის შიგნით საფოსტო/საკურიერო მომსახურების (CPV-კოდი: 64100000) გაწევადა შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით, დანართი№1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის გაწეული საფოსტო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის მიხედვით ხელშეკრულებაზე თანდართული ტარიფების შესაბამისად (დანართი:1)

3.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

3.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება ყოველი თვის ბოლოსმიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, საანგარიშ[illegible]ში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო მომსახურების შესაბამისად.

მუხლი 4. განსაკუთრებულიპირობები

მიმწოდებლისმიერგასაწევისაფოსტო მომსახურებისსახეობების ნუსხა, ღირებულება და გადაგზავნის ვადებიგანსაზღვრულიადანართი №-1-ში, რომელიცდაერთვისწინამდებარეხელშეკრულებასდაწარმოადგენსმისგანუყოფელნაწილს.

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებლი ვალდებულია:

5.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შემსყიდველისგან მიღებული რეგისტრირებული საფოსტო გზავნილების მიღება, გადაგზავნა და ადრესატებისთვის ჩაბარება საქართველოს ფარგლებში.
5.1.2 უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გასაგზავნი გზავნილის ადრესატისათვის უსაფრთხო და დროული მიწოდება.
5.1.3 შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.
5.1.4 საფოსტო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუსაბუთოს წერილობით მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.
5.1.5 შემსყიდველის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს საფოსტო მომსახურება.
5.1.6 გაუწიოს შემსყიდველს ჯეროვანი მომსახურეობა.
5.1.7 თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.
5.1.8 დადგენილი ფორმით დააფიქსიროს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარების ფაქტი.
5.1.9 იმ შემთხვევაში თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს.
5.1.10 შემსყიდველის მიერ ადრესატის არასწორი მისამართის მითითების შემთხვევაში ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს.
5.1.11 მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას შემსყიდველის მიერ 6.1.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გზავნილის დაგვიანებით ჩაბარებაზე, ან ჩაუბარებლობაზე.
5.1.12 ადრესატის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში განმეორებით ორჯერ მაინც მიიტანოს გზავნილი ჩასაბარებლად, ხოლო თუ კვლავ ვერ მოხერხდა მისი გადაცემა ჩაუბარებელ გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველის.
5.1.13 არ განახორციელოს გზავნილის მიღება, თუ შემსყიდველს გააჩნია დავალიანება მის მიმართ.
5.1.14 ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. მიმწოდებელსუფლება აქვს:

5.2.1 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ღირებულების გადახდა სახეობების, წონისა და რაოდენობის შესაბამისად.
5.2.2 გამოიყენოს შემსყიდველის მიერ გადახდილი თანხა.
5.2.3 კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას ან შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.
5.2.4 მოსთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.
5.2.5 მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება.
5.2.6 საფოსტო გზავნილების გადატანისას იხელმძღვანელოს მის მიერ დადგენილი სამართლებრივი მიმართულებების შესაბამისად.
5.2.7 უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების გაწევაზე, თუ გზავნილზე არ არის ან არასრულყოფილად არის მითითებული შემსყიდველის ან/და ადრესატის რეკვიზიტები: სახელი, მისამართი, საფოსტო ინდექსი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი).

5.2.8 უარი განაცხადოს გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი გზავნილი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე, ან ერთი ადრესატი დამისამართებულია სხვადასხვა მისამართზე.

5.2.9 უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ შემსყიდველმა მომსახურების გაწევა მოითხოვა არასამუშაო დღის ან/და არასამუშაო საათის პერიოდში. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი თანახმაა წაიღოს სასწრაფო გზავნილი.

5.2.10 რეგისტრირებულ გზავნილებებზე პრეტენზიები განიხილება გაგზავნიდან მხოლოდ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

5.2.11 შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით

მუხლი 6. შემსყიდველს უფლებები და ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1 შეასრულოსმიმწოდებლის კანონიერი მოთხოვნები.

6.1.2 დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში მიმწოდებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი სამვი.

6.1.3 მკაცრად დაიცვას საფოსტო გზავნილების გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ დადგენილი მიღება-ჩაბარების წესები.

6.1.4 რეგისტრირებული გზავნილების გაგზავნისას მიმწოდებელს გზავნილები ჩააბაროს მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად რეესტრით (ფორმა 103) საფოსტო გზავნილის შესაბამისი რიგითი ნომრის, წონის და გადაგზავნის საფასურის ჩვენებით. გზავნილის სამისამართო მხარეზე მითითებული უნდა იყოს გამგზავნის და ადრესატის საფოსტო ინდექსი, სრული მისამართი, ადრესატის სახელი, გვარი. პირადი ნომერი (მხოლოდ სოფლად დამისამართებულ გზავნილებზე) კონვერტის მარჯვენა ზედა კუთხეში მიუთითოს „ხელშეკრულებით".

6.1.5 მალფუჭებადი ან/და მსხვრევადი გზავნილის შემთხვევაში გზავნილსა და თანმხლებ დოკუმენტაციაში გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა.

6.1.6 საკურიერო მომსახურებისას დაახვედროს მიმწოდებლის წარმომადგენელს გასაგზავნი ფოსტა მზად.

6.1.7 ფოსტაში წერილები ჩააბაროს დადგენილი წესების სრული დაცვით.

6.1.8 მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

6.1.9 ხელი შეუწყოს მიმწოდებლის კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

6.1.10 ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფოსტო მომსახურებისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს ჯეროვანი საფოსტო მომსახურების გაწევა.

6.2.2 მოითხოვოს №1დანართით განსაზღვრული მომსახურეობების გაწევა.

6.2.3 იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6.2.4 მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ასლები.

6.2.5 მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2.6 მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.

6.2.7 მოითხოვოს მიმწოდებლის მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება.

6.2.8 მოითხოვოს კორესპოდენციის ადრესატამდე უსაფრთხო და დროული მიტანა.

6.2.9 მიმწოდებელთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

6.2.10 ზეპირად ან წერილობითმოითხოვოსინფორმაციაგზავნილებისმოძრაობასთანდაკავშირებით.

მუხლი 7. ხელშეკრულებისშესრულებისშეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები ნააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას,რომელთაგამომხარისგან დამოუკიდებელი მიზეზებითფერხდებახელშეკრულებისპირობებისშესრულება, ამმხარემ ზეპირად ან წერილობით დაუყოვნებლივაცნობოს მეორე მხარესშეფერხებისფაქტის, მისიშესაძლოხანგრძლივობისადაგამომწვევიმიზეზებისშესახებ. შეტყობინებისმიმღებმამხარემ, რაცშეიძლებამოკლედროშიუნდააცნობოსმეორემხარესთავისიგადაწყვეტილებააღნიშნულგარემოებებთანდაკავშირებით.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო შემდეგ შემთხვევებში და ოდენობით:
8.2.1 დაკარგული რეგისტრირებული გზავნილისა და ამანათისათვის – მიყენებული ზიანის ფარგლებში.
8.2.2. საფოსტო გზავნილის შიგთავსის დანაკლისის ან დაზიანების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ფარგლებში.
8.2.3. შემსყიდველს 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.
9.2 ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა მეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რათა დარწმუნდეს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
10.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენმხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომელნიც უფლებამოსილნი არიან პირადობის მოწმობისა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში განახორციელონ ინსპექტირება.
10.3 მომსახურების შესრულება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებით მიღება-ჩაბარების აქტითა და საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.
11.2 20 დღის განმავლობაში ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ იდაონ სასამართლო წესით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ორივე მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეთანხმებით ან ცალმხრივად მომალოს ეს ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულია 30 დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს.

12.2 თუ გზავნილის გადატანა მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებ და საჭიროებს დამატებით ხარჯებს, მაშინ მისი გადატანა ხორციელდება დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

12.3 მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების, ან კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.

12.5 ნებისმიერიშეტყობინება, რომელსაცერთიმხარეხელშეკრულებისშესაბამისადუგზავნისმეორემხარეს ეცნობებანწერილის, დეპეშის, ტელეფონისანფაქსისმეშვეობით, ორიგინალისშემდგომიწარმოდგენით, ხელშეკრულებაშიმითითებულიმეორემხარისმისამართზე.

12.6 მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გაგზავნილიზეპირად ან წერილობითი შეტყობინებამედისძალაშიადრესატისმიერმისიმიღებისდღესანშეტყობინებისძალაშიშესვლისდადგენილდღეს, იმისმიხედვით,თუამთარიღებიდანრომელიუფროგვიანდადგება.

12.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

მუხლი 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლითან მხარეების მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის თაობაზე მინიჭებული უფლების გამოყენებამდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი „
სსიპ – ქალაქ თბილისის #209 საჯარო სკოლა	შპს „საქართველოს ფოსტა"
ს/კ 236087907	ს/კ 203836233
მის.: ქ. თბილისი. ს. გლდანი, წყაროს 1–ლი ჩიხი #2	მის: 0100 თბილისი, ვაჯნლის მოედანი 2
ტელ.: 2 308304	ტელ: 91 06 54
სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგ. ნომერი: GE17LB0121151971306000	ბანკის დასახელება: სს „პრივატბანკი" ბანკისკოდი: CAVOGE22 ანგ. ნომერი: GE88TP0034080020000642
ია აბუაშვილი	ლევან ჩიკვაიძე
სკოლის დირექტორის მ.შ.	გენერალური დირექტორი

დანართი N1

ტარიფები

ქვეყნის შიგნით რეგისტრირებული გზავნილების გაგზავნისას გზავნილის სახის, წონისა და დანიშნულების ადგილის მიხედვით (ლარი-დღგ-ს ჩათვლით)

გზავნილის სახე	მომსახურების დასახელება	ზომა	ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით	ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ
წერილობითი კორესპონდენცია	ღია ბარათი		1 ლარი	
	მარტივი წერილი	(A6, A5)	2 ლარი	
	1 კლასის წერილი (რეგისტრირებული)			
		ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით		ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ
	A6	2 ლარი		3 ლარი
	A5	3 ლარი		4 ლარი
	არასტანდარტული	5 ლარი		7 ლარი

გზავნილის სახე	წონა	ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით	ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ
მცირე პაკეტები	0-4 კგ მდე	5 ლარი	7 ლარი

დამატებითი მომსახურება

I	მომსახურების სახე	გზავნილის ღირებულების დაანგარიშება	გზავნილის ღირებულება
	დაზღვევა	0 დან - 300 ლარი	3 ლარი
		300 ლარიდან ზევით ყოველ მომდევნო100 ლარზე დამრგვალებით.	+1 ლარი
	სწრაფი გზავნილი (წერილი და მცირე პაკეტი)		გზავნილის ღირებულებას + 5 ლარი
	გზავნილი შეტყობინებით(ჩაბარების დასტურით)		გზავნილის ღირებულება გამრავლებული 1,8-ზე
	ხელიდანხელში (მხოლოდ ადრესატზე)		გზავნილის ღირებულების ორმაგი ოდენობა

შენიშვნა:

- დაზღვევა ხდება ყველა სახის გზავნილის გარდა ღია ბარათის და მარტივი წერილის.
- **გზავნილის ჩაბარების ვადებია** - 24-72 საათი.
- **სწრაფი გზავნილი** - გზავნილი, რომელიც ადრესატს ჩაბარდება მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისაგარდა შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულისა: ტყიბული, აბაშა, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი , ქედა , მუხიანი, ხიდისთავი, ჩიხატაური, მესტია და თერჯოლა.
- **ერთი და იგივე ადმინისტრაციული ერთეული** - საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული - ქალაქი, დაბა, სოფელი ერთი და იმავე რეგიონის ფარგლებში, გარდა ქ. თბილისისა.
- **საფოსტო გზავნილი** - წერილი/ მცირე პაკეტი.
- წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვრის - 2 კგ-თი(გარდა გამონაკლისისა, საერთაშორისო საქმე ხრაილის მრიფტი და ა.შ) ერთეული კორესპონდენციის გაგზავნის შემთხვევაში 2-კგ-ის ზემოთ ყოველ 100 გრამზე დაემატება 0.50 ლარი. ერთეული კორესპონდენციის გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში 2-კგ-ზე ზევით ყოველდამატებით 100 გრამზე 0,50 ლარი დაემატება არსებულ სტანდარტული გზავნილის ღირებულებას.

„შემსყიდველი"

სსიპ – ქალაქ თბილისის #209 საჯარო სკოლა

„მიმწოდებელი"

სსიპ „საქართველოს ფოსტა"